წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. ხუთშაბათი, 2 ივნისი

# სამშობლო

№ 369

**გაზეთის ფასი:**
წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელ ... სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ორშაბათიდან, 30 მაისიდან ახალი პროგრამა.

**გომონის ქრონიკა** 39 ბ.

სინიდისის მხილება.

დრამა ოთხ ნაწილად, მაქსიმოვის მონაწილეობით.

**ანონსი:** ორშაბათიდან, 2 ივნისიდან ახალი პროგრამა

**პატე ჟურნალი** 343. მიმდინარე ამბები.

ნავთისა და მილიონების სამეფოში. მეორე სერია 4 ნაწილად ეპილოგით.

ელექტრო „ამპირი“ თეატრი

ორშაბათიდან, 30 მაისიდან ახალი პროგრამა.

**გომონის ქრონიკა** 40 ს. მიმდინარე ამბები.

ნამი სისხლისა.

დრამა 5 ნაწილად ცნობილ მსახიობ ქალის ესპერის მონაწილეობით.

**ანონსი:** ორშაბათიდან, 2 ივნისიდან ახალი პროგრამა.

**ქრონიკა გომონი**, მიმდინარე ამბები.

სიყვარულის ტანჯვა. 4 ნაწ. ურალსკის მიერ დადგმული მხატვრული კინო დრამა. მოსკოვის თეატრის მსახიობთა ბ-ნ ი. ი. მოზჟუხინისა და ქ-ნ პოზდნიაკოვის მონაწილეობით.

ადგილების ფასი „ამპირსა“ და „რადიუმში“; ლოჟა 85 კაპ., 1 ადგ. 75 კაპ., 2, 50 კაპ., 3, 30 კაპ. მოწაფეთათვის: 2 ადგ. 30 კაპ., ჯარის კაცთათვის მესამე ადგილი 20 კაპ.

**ქალაქი ქუთაისი.** **ქალაქის თეატრი.**

ხუთშაბათს, 2 ივლისს გაიმართება

მოსკოვის საიმპერატორო თეატრის დამსახურებული მსახიობის

თავ. ა. ი. სუმბათაშვილის-იუჟინის

საღამო-მეჯლისი

წაიკითხავს ლექციას თეატრის მნიშვნელობაზე და სხვადასხვა სცენებს და მონოლოგებს საკუთარის, შექსპირის და სხვათა მწერალთა თხზულებიდან.

დასაწყისი საღამოს $9^1/_2$

ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში.

ქუთაისის ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა ამით აუწყებს საზოგადოებას რომ ხუთშაბათს, 2 ივნისს, ღამის 12 საათზე, ჩვენი მეირფასი თანამემამულის თ-დი

ა. ი. სუმბათაშვილის

პატივსაცემლად საზაფხულო კლუბში გაიმართება

ნადიმი.

ყოველი დამსწრე მამაკაცი იხდის 12 მანეთს, მანდილოსანი—6 მანეთს. ვისაც სურს დაესწროს უნდა ამთავითვე ჩაეწეროს დრამატიული საზოგ. გამგეობის კანტორაში და გადაიხადოს ხვედრი ფული. 3—3

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელის** ელექტრინისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის **9—12** საათ. **საღ.** საათ. 6-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

**ექიმი** **ი. ჩარექოვი** ქალაქ. საავათმყოფოს **ორდინატორი.** იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით, $12^1/_2$— საათ. **საღ. 6—8 საათ.**
**მისამართი:** ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის ს. ტელეფონი № 135.

**ექიმი** **ა. მ. ასათიანი.** რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათმყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

**ექიმი** **მულინი.** ყელის, ცხვირის და ყურების ლებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა. თბილისის ქუჩა № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა. 10

**ბებია** **მ. მ. კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

**გამოცდილი მასწავლებელი** სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.
მისამართი: გაზ. „**სამშობლოს**“ რედაქც.

განცხადება.

ვაუწყებ პატივცემულ ჩემს მუშტრებს და ქუთაისის საზოგადოებას, რომ ვინაიდან ამ ბოლო დროს ჩემი ჯანმრთელობა საგრძნობლათ შეილახა, იძულებული ვარ 1886 წლიდან დაწყებული ფქვილით ვაჭრობა შევსწყვიტო, როგორც კი გავყიდი იმ ფქვილს, რომელიც ამჟამად მაქვს მიღებული. ამიტომ ვსთხოვ ჩემს მუშტრებს, რომ ეცადონ სხვა რომელიმე წყაროების გამომებნას ფქვილის საშოვნელად, რათა ქუთაისის საზოგადოება დაკმაყოფილებულ იქნეს ამ უსაჭიროესი სანოვაგით.

**პატივისცემით ფქვილის მოვაჭრე** 3—3

მიხეილ მოშიაშვილი.

ქუთაისის ერთ-ერთ საშუალო სასწავლებლის უფროსი კლასის **რუსული ენის მასწავლებელი** (ტომით რუსი) რჩება რა საზაფხულოდ ქუთაისში,

ამზადებს მოწაფეებს

საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის, **სპეციალურად კი რუსულ ენაში.**

მისამართი: ძველი თბილისის ქუჩა, სახლი წინამძღვაროვისა. პირადად მოლაპარაკება ნაშუადღევის 2—5 საათამდე. 6-2

## მსოფლიო ომი.

### დეპეშები.

**უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი** 30 მაისი. ოფიციალი. დასავლეთის ასპარეზი. გენერალ ბრუსილოვის ჯარი კვლავ სდევნის მოპირდაპირეს. დღემდე დავატყვევეთ: 1700 აფიცერი და 113,000 ჯარის კაცი. როჟიშჩედან გუშინ წამოვიყვანეთ 18 გენერალი აფიცერი და 1185 ჯარისკაცი, 26 აფიცერი და 742 ჯარისკაცი—ავსტრიელი. ლუცკის სამხრეთით მტერი სწრაფად იხევს უკან დაზარალებული. გალიციაში გელიაკის (ტარნოპოლის სამხრეთით) მიდამოებში არტილერია მხნედ მოქმედობს. ბოჟულიცეს მიდამოებში, ბუჩაჩის ჩრდილოეთით, ავსტრიელებმა საშინელი წინააღმდეგობა გასწიეს. ჩერნოვიცასთან სანაღმო ბრძოლაა. სოფელ მახალთან, მოპირდაპირემ ხიდი ააფეთქა. ლეჩიცკის მიერ წამოყვანილი ტყვეების რიცხვი 21,000 კაცს აღწევს. იაკობშტადტის ასპარეზზე 29 მაისს გერმანელებმა საარტილერიო ბრძოლა გააჩაღეს. ამავე დღით, დრისვიატის ტბის სამხრეთით გერმანელების იერიშებმა უშედეგოდ ჩაიარა. ისელდში მოპირდაპირე არტილერიით მოვიგერიეთ.

**კავკასიის ასპარეზი.** მდგომარეობა უცვლელია.

**პარიზი.** 28 მაისი. ოფიციალი. დღის ცნობა. შამპანში, ტეტუს მთის დასავლეთით გერმანელების მზვერავები გავფანტეთ. მაასის მარცხენა ნაპირზე, ავოკურის ტყეს ზარბაზნებს უშენენ. ტიომონის, შაპირტის და დიუმენის სიმაგრეთა მიდამოებში სასტიკი საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს. სუვილტავანის უბანში არტილერია ძლიერად მოქმედობს. ქვეითი ჯარი მონაწილეობას არ იღებდა.

**პარიზი.** 29 მაისი. დღის ცნობა. უაზსა და ენს შუა, სენ-მარკის ტყის მიდამოებში, არტილერიამ გერმანელების სიმაგრე გაანადგურა. არგონებში, ოტშევოსთან სანაღმოსნო ბრძოლაა; მაასის ნაპირებზე ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა, განსაკუთრებით ვერდენის ჩრდილოეთით. მდინარის მარცხენა ნაპირზე გერმანელებმა ორი მოულოდნელი თავდასხმა მოახდინეს ერთი—304 მაღლობზე, მეორე ცოტა აღმოსავლეთით. გერმანელების იერიშებმა უშედეგოდ ჩაიარა. მარჯვენა ნაპირზე—ქვეითა ჯარს სრულებით არ უმოქმედია, აპრემონის ტყეში ორი გერმანელი რაზმი, რომელიც თხრილებში შეიჭრა, ფრანგებმა მალე განდევნეს.

ვოგეზებში, სენმარის უღელტეხილით, სამხრეთით, გერმანელების იერიშებმა უშედეგოდ ჩაიარა.

**საღამოს ცნობა.** ვერდენის ჩრდილო ასპარეზზე ქვეითა ჯარი არა მოქმედობს ტიომონის ფერმის სამხრეთით, და ვოს დასავლეთით, საარტილერიო ბრძოლაა. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში სიწყნარეა—გარდა შამპანისა, სადაც ტაგიურთან საარტილერიო ბრძოლამ უკიდურესობამდე მიაღწია.

**ჰავრი.** 29 მაისი. ბელგეთის ცნობა. დღემ მშვიდად ჩაიარა, ხოლო ასპარეზის სამხრეთ ნაწილებში ჩვეულებრივი საარტილერიო ბრძოლაა.

**ლონდონი.** 29 მაისი. შტაბის ცნობა. სამხედრო მოქმედების უმთავრესს ასპარეზად იპრის გარემო გახდა. შუადღისას, მოპირდაპირემ ჩვენს თხრილებს ზარბაზნები დაუშინა იპრ-კიუმინის რკინის გზის ჩრდილოეთით, აგრეთვე ხოპეს სანგრების დასავლეთით; ჩვენი არტილერია კი მედგრად მოქმედებს ლაბუსელის, არასის და ლოოსის წინააღმდეგ. გერმანელები სუშეს და ანგარას მიდამოში ჩვენს სანგრებს კვლავ მედგრად უშენენ ზარბაზნებს ჰოჰენცოლერის რედუტთან დიდმნიშვნელოვანი სანაღმოსნო ბრძოლა მოხდა. ჩვენ ერთი ნაღმი ავაფეთქეთ, რომელმაც გერმანელების თხრილები საკმაოდ დააზიანა.

მოპირდაპირემ ააფეთქა ორი ნაღმი, კირე-ოტრანტ-ვაიშტაჰის გზის სამხრეთით: უკანასკნელის ცნობიდან სჩანს, რომ, ნევშაპელის ახლოს მომხდარ სამხედრო ბრძოლის დროს, გერმანელები დიდად დაზარალებულან.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

სად. რატომსკთან რუსებმა გერმანელების ჰაეროპლანი ჩამოაგდეს. მფრინავი ტყვედ წაიყვანეს.

— —

რიგის ფრონტზე მოპირდაპირენი ერთმანეთის პოზიციებს უშენდენ. 23 მაისს რიგას მტრის ჰაეროპლანების ახალი წყება ესტუმრა. ჰაეროპლანებმა ქალაქში რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდეს და უკანვე გაბრუნდენ.

— —

ცნობილ ჩეხელ მოღვაწეს, რომელსაც ამას წინად ავსტრიის მთავრობამ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, ჰერცჰერცოგ ფრიდრიხის ბრძანებით, სასჯელის სისრულეში მოყვანა შეუჩერებიათ

— —

რუშჩუკში 25 მაისს გაასამართლეს სომეხი განჯინიანი. მას ბულგარეთისა და ოსმალეთის მთავრობები სახელმწიფოსადმი ღალატს აბრალებდნენ. პირველ ხანებში განჯინიანი ოსმალეთის სამხედრო ფლოტზე მსახურებდა, მხოლოდ უკანასკნელ დროს იგი ბულგარეთმა მიიწვია თავის სანაპიროების დასაცავად, რომლის შესრულების დროსაც მას შეამჩნიეს სხვადასხვა ბოროტმოქმედებანი. განჯინიანს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს.

— —

22 მაისს სალონიკთან დიდი შეტაკება მოხდა. საფრანგეთის ჯარმა 36 ჯარის კაცი დაჰკარგა

— —

ამერიკის პრესა, ეხება რა 18 მაისს მომხდარ საზღვაო ბრძოლას, შემდეგ აზრს გამოსთქვამს: რა თქმა უნდა უპირატესობა და „ზღვათა მეფობის“ ხარისხი ინგლისისა ოდნავადაც არ შელახულა ამ ბრძოლით, მხოლოდ საქმე იმაშია, რომ გერმანიის ფლოტი უფრო ტაქტიკურად მომქმედი გამოდგა. მართალია, იგი ინგლისის ფლოტს პირდაპირი ბრძოლიდან გაექცა, მაგრამ ცოტათი გამარჯვება მაინც ირგუნაო.

— —

კავკასიის ასპარეზზე ბრძოლის სიწყნარეს შემდეგნაირად ხსნიან: ალაგალაგ საშინელი სიცხეები დაიჭირა, რამაც მოპირდაპირეებს ხელი შეუშალა მოქმედებაში. ალაგალაგ კიდევ ჯერ სავსებით არ მომხდარა მოპირდაპირეთა ჯარების სრული შეჯგუფება.

— —

ავსტრიის მხარეზე შემტევ რუსის ჯარს სარდლობს გენერალი ბრუსილოვი.

— —

სმორგონთან მცირე შეტაკებებია.

— —

რუმინიის სამხედრო შტაბს გადაუწყვეტია ავსტრიის საზღვარზე მდგომი ჯარები მოხსნას და სასოფლო სამეურნეო

# ომის დუღილი.

**აღმოსავლეთ ასპარეზზე რუსებმა მთლიანად დაიპყრეს ლუცკისა და დუბნოს რაიონები, გადალახეს მდინარე სტირი. ტყვეთა რიცხვი ასი ათასს აღემატება. რუსები ზალეშჩიკსა და ჩერნოვიცს დაემუქრნენ.**

**კავკასიის ასპარეზზე პატარა ბრძოლებია**

**ვერდენთან გერმანელებმა ტიომონ-დუომონის ხაზი დაიპყრეს. საფრანგეთის ასპარეზის დანარჩენ ნაწილში სანაღმო ბრძოლა და ცხოველი შტეაკებანი არიან იპრთან.**

**იტალიის ასპარეზზე იტალიელებმა ავსტრიელთა წინსვლა შეაჩერეს და თვით დაიწყეს შეტევა.**

**სალონიკთან სიწყნარეა**

საქმეში სამუშაოდ დაითხოვოს.

— —

კილიკიაში (ოსმალეთი) სრული „უკაცობაა“ აქ შეხვდებით მხოლოდ ოსმალეთის ჯარის ურდოებს; სომხების მოსახლეობა სულ ერთიანად გადაბუგული და მოსპობილია.

— —

ჯემალ ფაშას „ტანინის“ კორესპონდენტისათვის უთქვამს: „მართალია დღეს დღეობით ჩვენ მეტად კრიტიკულ მდგომარეობაში ვიმყოფებით, ამდენი მიწა წყალი დავკარგეთ, მაგრამ ეჭვი არ არის, საქმეს ამ მოკლე ხანში გამოვაბრუნებთ, ჩვენის ძლიერის მოკავშირის გერმანიის წყალობით, ჯემალ ფაშას უთქვამს, კავკასიის ასპარეზზე მტერი აწ კიდევ ველარაფერს წაგვართმევსო. ჯემალფაშას მცირე აზიაში დაკარგულ ადგილთა შორის დაუყონებლივ დასაბრუნებლად მიაჩნია ბითლისი. ყოველივე საქმის ისლამის საკეთილოდ მოსაგვარებლად, უთქვამს ჯემალს, საჭიროა მებრძოლი ჯარის სულიერი სიმტკიცის შენარჩუნებაო.

— —

„დეილ ტელეგრაფი“ სწერს: „ავსტრიის ფრონტზე რუსებმა მედგარი და ძლიერი შეტევები დაიწყეს და ამ „შეტევებისთვის“ საუკეთესო მომენტი აირჩიესო. რუსების მიერ შეტევა, უეჭველია, დიდ დახმარებას გაუწევს იტალიის ჯარსაო“.

— —

მოლოდეჩნოს ფრონტზე დაუცხრომელი ბრძოლაა. გერმანელები რკინის გზის გადმოლახვას სცდილობენ.

— —

ავსტრიის ხმელეთის შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდალმა ჰერცჰერცოგმა ფრიდრიხმა ავსტროუნგრეთის ჯარში ყველა მეომარი ერთგვარის უფლებით აღჭურვა.

— —

ოსმალეთი მთავრობა შეუდგა ანატოლიის იმ სანაპიროების შეკეთებას, რომელიც ამას წინად რუსეთის ფლოტმა დააზიანა.

— —

24 მაისს ბუქარესტიდან მიღებულ ცნობით, რუსეთის შავი ზღვის ფლოტს ბურგასისთვის ყუმბარები დაუშენია. პორტ ბურგასში თურმე გერმანიის წყალქვეშე ბი სადგურობენ.

— —

მაკედონიის ფრონტზე ვარდარის ორივე სანაპიროსთან საარტილერიო ბრძოლები ხდებოდა.

— —

პარიზში პუანკარეს თანადასწრებით პანაშვიდი გადახადეს დაღუპულ ლორდ კიტჩენერის სულის მოსახსენებლად პანაშვიდის შემდეგ ინგლისის მეფეს რესპუბლიკის პრეზიდენტმა პუანკარემ სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა.

— —

ზღვაზე დაღუპულ სამხედრო მინისტრ ლორდ კიტჩენერის მაგივრად სამხედრო მინისტრობის პორტფელი პრემიერმინისტრმა ასკვიტმა აიღო.

— —

გერმანიის მთავრობას ახალი სამხედრო საშინაო სესხი გამოუცხადებია, რომელიც უდრის 12 მილიარდ მარკას.

— —

გემ „ჰემპშაირის“ დაღუპვის შესახებ გაზეთები სწერენ: გემი ნაღმს დაეტაკა, მხოლოდ ვისი ჩადებული იყო ნაღმი, ჯერ არავინ იცის. იმ დროს, როდესაც გემი იძირებოდა, ზღვაზე საშინელი ნისლი იდგა, რამაც ხელი შეუშალა მიმშველებელ კრეისერის მოქმედებასო

— —

გერმანიის საზღვაო მინისტრს ფონ ტერპიცს ბრძანება გაუცია, რომლის ძალითაც მეზღვაურებს ეკრძალებათ მშობლებისადმი წერილების მიწერა და მათგანვე წერილების მიღება.

— —

ჰოლანდიის სანაპიროებთან შეუმჩნევიათ გერმანიის წყალქვეშა გემი, რომელიც ინგლისის სანაპიროებისაკენ მიემართებოდა.

— —

შვეციის აქტივისტებს გადაუწყვეტიათ, მოქმედება არ შეაჩერონ შვეციის ომში ჩასარევად.

— —

რუმინიის საზღვარზე ავსტრია ჯარებს თანდათან ამცირებს და რუსეთ იტალიის ასპარეზზე გადაჰყავს.

— —

ენვერ ფაშას უთქვამს, „ადერველეს“ კორესპონდენტისთვის: „ჩვენთვის დღეს ეგვიპტე არ არსებობს, ჩვენი უახლოესი გეგმაა — მცირე აზიის დაკარგული ტერიტორიის დაბრუნება“-ო.

## სამხედრო მიმოხილვა

ყოველ სახელმწიფოს თავისი საკუთარი სტრატეგია აქვს. მართალია, ამ სტრატეგიას თავისი მეცნიერული საფუძველი ერთგვარი აქვს, მაგრამ ერთი სახელმწიფოს სტრატეგია მეორისაგან გაირჩევა, იმის ძმიხედვით, თუ მეომარ სახელმწიფოს ომის საწარმოებლად რა მასალა უფრო მეტი აქვს და, მაშასადამე, უშიშრადაც შეუძლია მისი დახარჯვა.

თუ გერმანია იქ იწყობს შეტევას, საცა მისი ძლიერი ტეხნიკა დიდ სამსახურს გაუწევს, სამაგიეროთ რუსეთი შესატევათ ირჩევს ისეთ ალაგს, რომლის გადალახვაც შეიძლება მხოლოდ ჯარის სამრავლის წყალობით.

ამის და მიხედვით რუსის უმაღლესმა მთავარსარდლობამ სწორედ გალიციის მხარე აირჩია, ვინაიდან კარგად იცოდა, რომ საომარი მასალით აქ დაგროვილი რუსის ჯარი ღირსებითაც აღემატებოდა მათ წინ მდგომ ავსტრიელთა მეორე ხარისხოვან ჯარს; ავსტრიელთა პირველ ხარისხოვანი ჯარი ამ ჟამად იტალიის ასპარეზზე იმყოფება, რის მაგიერობასაც აქ ეწევა შედარებით მცირერიცხოვანი ცხენოსანი ჯარი.

ეს უპირატესობა სავსებით გამოიყენეს რუსებმა, რაც გამოიხატა იმაში, რომ აუარებელი დავლა წამოიღეს, გადალახეს მდ. სტრიპა, მდ. იკვა და 35—40 ვერსით შორს შეიჭრენ მთელი ასპარეზის შუა ნაწილში, გალიციაში, ხოლო ბუკოვინისა და ვოლინში ჯერჯერობით ვერ შესძლეს იგივე.

რამდენადაც ჩვენ ვიცით, კარპატის მთებამდი არავითარი ბუნებრივი სიმაგრე არ არის ავსტრიელთა ზურგს უკან, სადაც შესძლებდენ ავსტრიელები გამაგრებას.

მეორე მხრით, გერმანია ავსტრიის ჯარები სხვა ასპარეზებით არიან ბრძოლაში ჩაბმულნი და არა გვგონია, აქ თავი მიანებონ და რუსებს მოუბრუნდნენ ჯერჯერობით, მანამ დასავლეთით არ დაამთავრებენ ბრძოლებსა და მიზანს არ მიაღწევენ. ამის თავდებია, სხვათა შორის წარსულ ბრძოლების მაგალითი. გერმანეთი მუდამ ასე იქცეოდა. განსაკუთრებით წინააღმდეგობას არ უწევდა ერთ მხარეს, მანამ მეორე მხარეს თავს არ გაინთავისუფლებდა. მით უმეტეს ეს მოსაზრება დასაჯერებელია, რომ გერმანელთათვის საფრანგეთ ინგლისი საკმაოდ საშიშნი არიან და, რომ ბრძოლის სიმძიმე ეხლავე აღმოსავლეთით გადმოიტანოს, უეჭველია, საფრანგეთ-ინგლისი შეუტევენ, ამ შემთხვევაში მას ბრძოლის ინიციატივა ხელიდან წაუვა, რასაც არასდროს არ მოისურვებს გერმანია.

ამნაირად, ადვილი შესაძლებელია რუსებმა კვლავ გაიარონ შარშანდელი ტერიტორია. რუსები არაფერს არ ინდობენ ოღონდ კი წინ წაიწიონ, არავითარ დანაკლისს არ ერიდებიან. ვნახოთ, რამდენად სუსტი გამოჩნდება ავსტრიელთა ჯარი და რამდენად ზურგი გაუმაგრებელი ექნება მას. მხოლოდ ერთი უნდა გვახსოვდეს: გერმანეთი ვერ შეურიგდება გალიციის დაკარგვას. ეცდება არა თუ დაიბრუნოს დანაკლისი, არამედ სხვაც შეიმატოს ალაჰმა უწყის როგორ აუსრულდება წადილი ვილჰელმს!

შვერელი

## ქართული პრესა.

გაზეთი „საქართველო“ სამართლიანად სწერს:

„ქვეყანა ქვეყანას ეხეთქება და ჩვენ კი ცივად შევყურებთ ისეთ გრანდიოზულ მოვლენათ, რომელთაც ადგილი საუკუნოებში ერთხელ აქვთ მხოლოდ. დიდიან რუსეთთან შეერთების ჩვენმა ქვეყანამ დაჰკარგა თავისი ოფიციალი სახე. ხელშეკრულების პირობებით რუსეთის ქვეშევრდომთა შორის საქართველო უპირატეს მდგომარეობაშია, არც პოლონეთს, არც ფინლიანდიას, არც უკრაინას და მით უმეტეს სომხებს და სხვებს საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით არა აქვს იმოდენა უფლება, რამდენიც ჩვენ, მაგრამ ხსენებულ ერთა შორის ყველაზე ნაკლებ ჩვენ ვსარგებლობთ ჩვენი უფლებებით. ერი ჩვენი უპიროვნო პიროვნებად გადაიქცა. შიში რიდაცისადმი და რიდაცისთვის მის ბუნებაში ღრმად შეიჭრა. სხვისთვის რაინდი, უადრესად თავდადებული საკუთარ ინტერესებისთვის დაზარია. არ არსებობს საქართველო როგორც იურიდიული პიროვნება, არსებობს საქართველო ვასალი, საქართველო, რომელიც მარად ბრძანების მოლოდინშია იმ დროს, როდესაც ჩვენმა მეზობელმა ერმა, სომხობამ, სრულიად სომხობის გაერთიანება მოახდინა და ოფიციალი სახით ალაპარაკდა თავის ინტერესების დასაცველად, იმ დროს, როდესაც სამშობლო ენაზე ნება მიიღო უმაღლესი მთავრობისაგან იმსჯელოს უცენტროლოდ თუნდა კარჩაკეტილ თათხში, ჩვენ ჩვენს დედა-ქალაქში ქართველ ტომთა წარმომადგენლების ყრილობა ვერ მოგვიხერხებია, რომ ერთხელ მაინც პირისპირ წარვდგეთ, ვიკითხოთ, რა გვაქვს, რა გვჭირია, როგორ მოვიქცეთ! მომენტის დიდი კარნახი, რომ ყოველ მოსალოდნელისთვის მზად ვიყვეთ, ჩვენთვის უქმადა რჩება. ექსპრომტებს შეჩვეული ქართველი ერი, ეხლაც ფიქრობს მომავალ საერთაშორისო კრებებს დაესწროს ექსპრომტად, მოუმზადებლივ. ავიწყდება, რომ რომანტიკოსობის ხანა გასულია, რომ დღევანდელ დღეს ხალხსა და ფარშუბს თან სდევს დიპლომატიური ფარხმალიც, საბუთები.

მაგრამ რა ქს: ჩვენ იმდენიც კი ვერ მოვახერხეთ, რომ უკვე ნება დართულ უფლებებით გვესარგებლნა და ერთხელ მაინც კულტურულ საზოგადოებათა გაერთიანებულ კავშირის სახელით გვესარგებლნა და მათი წარმოადგენლები პირის პირ წარვმდგარიყავით, გაგვეგო, ვინ ვართ, ვინ გვყვანან წარმომადგენლნი, რა ძალას წარმოადგენს ჩვენი ერი. ერი და ბერი, მასწავლებელი და მოსწავლე, რაინდი და გუთნის მდევეღი ასეთ მომენტში ერთდებიან, ერთად ბჭობენ, ერთად ზრუნავენ ჭირვარამის გასაძლოლად. ამას მიაღწიეს მეომარ სახელმწიფოებმა. ამას ვხედავ რუსეთის ყველა ერთა შორის, პოლონეთი და ფინლიანდია გარკვეულ გზას ადგია. სომხობამიც მესროპ-პარამონციდან მოყოლებული და გათავებული ხატისოვ კურტნიანი მუშით ყველა ერთის აზრით არის გამსჭვალული „დიადი სომხეთის“ აღდგენით, საქართველოს ასეთი „დიდოსის“ ფანტაზიაში არ ვთხოვთ გაფრენას, მაგრამ რომ მასაც სჭირია ძალთა მობილიზაციის მოხდენა საპასუხისმგებლო ოქმის ჩასაბარებლად, ეს კი ყოველს ეჭვს გარეშე უნდა იყოს. ეჭვს გარეშე, მართალია, მაგრამ საქმეც ის არის, სადაა ეს ოფიციალი საქართველო? სადაა მისი სულის ჩამდგმელი ძალა, ძალა მამოძრავებელი? ნუ თუ თვითარსებობის არა თუ სურვილი თვით უბრალო აღღოც ჩამკვდარა? არა გვგონია. თუ არ არსებობს ასეთი ძალა, თუ ოფიციალ გამგებლებს ერის ზრუნვაზე ქვა მიუგორებიათ, მაშინ იმდენი გამბედაობა გამოიჩინონ, რომ სთქვან, სასვეუნოდ უარჰყონ თავიანთ მოწოდების სახელი.

მერე ჩინ-ორდენები ვილამ მიიღოს? ოღონდაც რომ სავალალოა ჩვენი ყოფნა, მაგრამ ამაში დიდი დანაშაულობა მიუძღვის თითოეულ ჩვენში არსებულ ჯგუფსაც! დროა, ბატონებო, ცარიელ ოცნებას თავი დავანებოთ, შევიკრიბნეთ ერთად და შევიმუშაოთ საერთო გეგმა მოქმედებისა. ხალხი, ქართველი ხალხი განსაცდელშია, იგი უპატრონოდ არის მიტოვებული! ღმერთი, რჯული მას ჩვენი ჯგუფური გატაცებისა არა ესმის-რა. მოდით, მივიდეთ მასთან, გამოვიძიოთ მისი რეალური საჭიროებანი და ისე ვიმოქმედოთ...

განა დრო არ არის გონს მოვიდეთ?... მაგრამ ვაი რომ ჩვენ დასაკლავ დანას ჩვენვე ვამზადებთ, ჩვენ უკეთესს შვილებს ჩვენვე ვუთხრით სამარეს და ბურთი და მოედანი კი ისეთ „მოღვაწეებს“ დარჩენიათ, რომელნიც ოსპის შეჭამადზე ჰყიდიან თავის ქვეყანას...

როდემდის ასე, როდემდის??

## ახალი ამბავი.

**ქუთაისი.**

ქუთაისის კოოპერატიულ ფურნის გამგეობა აცხადებს, რომ მას სჭირია გამომცხობელნი. პირობების გაგება მსურველს შეუძლიან კოოპერატიულ ფურნის გამგესთან, გენერლის ქუჩა შენგელიას სახლი.

✦ ქუთაისის მცხოვრებლებმა: ქალაქის გამგეობის წევრმა პ. ი. მოსიძემ, საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკის თავჯდომარემ რ. ყ. დათეშიძემ, ამავე ბანკის გამგეობის წევრმა ი. გ. კემულარიამ, ვაჭრებმა პ. გოკიელოვმა, არონ ელიგულაშვილმა და ქ. ქუთაისის მოქალაქე ივ ი. პურადაშვილმა შუამდგომლობა აღძრეს ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რომ ნება დართოს ქუთაისში დააარსონ მომხმარებელი საზოგადოება „ქუთაისის 8 კლასიან კომერციული სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა დახმარე საზოგადოება“.

✦ განჯის სამაზრო ბეითალი მიხეილ ფარცვანიძე დაინიშნა სენაკის მაზრის მეორე ბეითლათ. ჯერ ჯერობით ის იმუშავებს ქუთაისის საბეითლო ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიაში.

✦ ქუთაისის გუბერნატორი გრაფი გუდოვიჩი უკვე დაბრუნდა ქ. ოზურგეთიდან.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა ცირკულიარით მადლობა გამოუცხადა შორაპნის მაზრის მესამე რაიონის მომრიგებელ შუამავალს გრიგოლ ფხაკაძეს ამ რაიონში საქმის წესიერათ დაყენებისათვის.

✦ ქუთაისის წითელი ჯვრის განყოფილებაში, ქუთ. გუბერნიის სხვადასხვა დაწესებულებიდან და კერძო პირთაგან 1 იანვრიდან 1 მარტამდი 1916 წ. შემოსულა შემოწირულება სულ 491 მან. და 19 კაპ.

✦ გამოქვეყნდა სია ომში დაჭრილთა, დახოცილთა და უგზო-უკვლოთ დაკარგულ ჯარის კაცთა, რომელნიც ქუთაისის გუბერნიიდან იყვნენ წასულნი.

✦ ქუთაისის სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს უფროსი მიწვეულია ბათომში აჭარლების დატოვებულ ადგილების მოსაწესრიგებელ კომისიაში მონაწილეობის მისაღებათ.

✦ გადაწყდა, რომ პირველ ივნისიდან მთავარ კონდუქტორებს მიეცეს დღიური 70 კაპ. და დაბალ მოსამსახურეთ კი ათი შაური.

✦ ქუთაისის გუბერნატორის განკარგულებაში მთავრობამ გადმოსცა 600,850 მან. 28 კაპ., რომელიც დაურიგდება ომში წასულ ჯარის კაცთა ოჯახებს

✦ სენაკის მაზრის უფროსი ატყობინებს ქუთაისის გუბერნატორს, რომ პოლიცია დაედევნა აჯიაშვილის მომტაცებლებს, ბავშვი გამოიხსნეს და ერთი მომტაცებელთაგანი, პავლე წოწორია, დააკავესო

✦ ბ-ნმა ერმალოზ ებანოიძემ ლ. დარჩიაშვილის გადმოსასვენებელ ფონდს შემოსწირა ერთი მანეთი.

✦ სოფელ ხრესილში ადგილობრივ ინტელიგენციის თაოსნობით გაიხსნა მომხმარებელ წვრილი კრედიტის საზოგადოება.

✦ სპარსეთის ასპარეზზე ქ. კენიგევერას მახლობლად დაიღუპა აფიცერი სევ. ზარტ. ჰანტურაია.

## ნიკო ნიკოლაძის საქმე

29 მაისის საღამოს სხდომა.

სასამართლომ მოისმინა ექსპერტების პასუხი ბრალმდებლის და დამცველების კითხვებზე. მცირე კამათის შემდეგ ორივე მხარე დაკმაყოფილდა ექსპერტთა განმარტებით. შემდეგ დამცველებმა წარუდგინეს სასამართლოს თუ რა და რა საბუთებით უნდა ეხელმძღვანელათ საქმის გარჩევის დროს. სხდომა ათ საათზე დაიხურა.

**30 მაისის სხდომა.**

სხდომა იწყება დილის 11 საათზე. სასამართლოს დარბაზი ხალხითაა სავსე. ლაპარაკობს ბრალმდებელი. თავის გრძელ სიტყვაში ბრალმდებელი დიდ ყურადღებას აქცევს 20 მაისის თარიღით 1896 წ. ფირმასა და ნიკოლაძეს შორის მიწერ-მოწერას, სადაც ის აღნიშნავს ბევრს საიდუმლო ნიშანს. ამ წერილების შინაარსი ნათლად ამტკიცებს იმას, რომ ნიკოლაძე ქრთამებს ღებულობდაო. ამ წერილებშიო, განაგრძობს ბრალმდებელი, აღნიშნულია, რომ ფირმა დიდათ საჭიროებდა ნიკოლაძის დახმარებას, აღნიშნულია აგრეთვე საჩუქრის გონორარი 6%. ბრალმდებელი დიდხანს შეჩერდა „ბუნგე პალაშკოვსკის“ ფირმისა და ნიკოლაძის შორის დამოკიდებულებასა და განწყობილებაზე. ამ ფირმას განგებ აქვს ანგარიშებში მოყვანილი ასო ა. ამით უნდათ რაღაც გაუგებრობა დაბადონ მათ დამოკიდებულებაში.

საკითხი იბადება: ვინ იყო პატრონი ფირმისა, ან რომელ გავლენიან კაცთან უნდა ქონოდათ საქმე, თუ არა ნიკო ნიკოლაძესთან; ვის პირდებიან 3—6% საჩუქრებს? დიახ, ამ საჩუქრებს პირდებიან იმას, ვისაც ხელშეკრულობის დროს შეეძლო მათთვის დახმარება აღმოეჩინა, ვინ იყო ასეთი კაცი, თუ არა ნიკოლაძე?

ასო ა. ბუნგემ კარგათ იცოდა რას ნიშნავდა, მაგრამ თავის ამხანაგთან რომ რაიმე აზრის უთანხმოება არ გამოსვლოდა, ამიტომ მისი ჩვენება გამომძიებელთან ხშირათ არის გაუგებარი, ორჭოფული.

რაც შეეხება იმას, რომ 1896 წ. 20 მაისის ჩადენილ დანაშაულობას ვადა გასული აქვს, განა 1905 წ. 2 დეკემბრის წერილები გაგრძელება არ არიან მისი? 22 დეკემბრის თარიღით აღნიშნულია სამჯერ მიცემა ქრთამებისა ასე რომ, ეს უკვე გამოდის შეუწყვეტელი ბოროტმოქმედება, რაზედაც ვადის გასვლა არ შეიძლება.

დასასრულ ბრალმდებელი მიმართავს მსაჯულებს და ამბობს: მე, ბ-ნო მსაჯულნო, დიდათ ვაფასებ ნიკოლაძის ინიციატივას ნავსადგურის აშენებაში, რითაც დიდი სამსახური გაუწია ქ ფოთს და მთელ მხარეს. დამნაშავეთა სკამზე მჯდომარეს არასოდეს არ სდებდენ ბრალს და არც ახლა ვსდებ, რომ ნავსადგურის აგების დროს რაიმე დეფექტი ყოფილიყოს. არა! სამწუხარო, სავალალო და მთელი ტრაგედია იმაშია, რომ რუსეთის სინამდვილეში ასეთ კარგსა და წესიერ მუშაობის დროსაც აქვს ადგილი ქრთამებს და ასეთ არასაკადრისს მოქმედებას. ნიკოლაძეს ედება ბრალი მხოლოდ იმაში, რომ მან დაარღვია წესიერების პრინციპი სამსახურის დროს. ამიტომ მე ბრალს ვსდებ 2 ნაწ 372 მუხ., რომელიც ჩამოაყენებს ნიკოლაძეს სამსახურიდან.

(დასასრული ხვალ)

## საყურადღებო საკითხი.

მიწადმოქმედების სამინისტრომ მეტად საყურადღებო და საჭირო საკითხი აღძრა აღძრული საკითხი შეეხება „სასოფლო სამეურნეო აღწერილობა“-ს; ე. ი. სტატისტიკურად რეალ ცნობების შეკრებას შესახებ იმისა, თუ რა მდგომარეობაშია დღეს რუსეთის მიწადმოქმედება, რამდენი მიწა დარჩა დაუთესავი მუშა ხელის მოსპობით. აგრეთვე ამ აღწერილობამ — უნდა გამოარკვიოს რაოდენობა დამშეულ მცხოვრებთა და ამ ჟამად სოფლად მომუშავე მშრომელი ხელის...

ეს საკითხი, გარდა ფინლიანდიის სამთავროისა და პოლონეთის სამეფოსა, მთელ იმპერიას შეეხება და ამრიგად, იგი მთელს იმპერიაში უნდა განხორციელდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის სასოფლო მეურნეობის საქმე დღეს უკიდურეს კრიზისს განიცდის. მოგეხსენებათ, რუსეთის მიწადმოქმედების უპირველესი მაცოცხლებელი ფაქტორი იყო ცოცხალი ძალა, დღეს კი სოფელი ომის წყალობით უმუშოდ დარჩა, რამაც ისედაც მოუწყობელი მეურნეობა პირდაპირ დაღუპვის გზაზე წაიყვანა; და თუ წინად რუსეთს მსოფლიო ბაზარზე პურის ბეღლადა სთვლიდენ, დღეს ამ რუსეთში ლამის არის საერთო ქრონიკული შიმშილობა ჩამოვარდეს.

აი, ამ მოვლენას დაუფიქრებია მიწად მოქმედების სამინისტრო და მას ზემოდმოხსენებულ საშუალებისთვის მიუმართავს.

ასეთი საშუალება—ნაბიჯის გადადგმა დღემდისაც უნდა მომხდარიყო, მაგრამ ნათქვამია: დაე, გვიან იყოს, ვიდრე სულ არაოდეს

„სასოფლო სამეურნეო აღწერილობის“ საქმეს რუსეთში აკისრებენ საგუბერნიო და სამაზრო ერობებს და სასურსათო საკითხის განსაკუთრებულ კომისიათ, მხოლოდ კავკასიაში და აზიის რუსეთში ეს საქმე ევალება ადგილობრივ ,,გადასახლების მომწყობ ორგანიზაციებს.

რუსეთში აღწერილობა დაიწყება თესვის დამთავრების შემდეგ და დასრულდება 1 ივლისს, მხოლოდ კავკასიასა და აზიის რუსეთში „აღწერილობა“ დაიწყება 15 ამა ივნისს და გასტანს 15 ივლისამდე.

რადგანაც „აღწერილობის“ საკითხი ჩვენც გვეხება და რადგან სასოფლო მეურნეობის მხრივ დღეს ჩვენც მეტად კრიტიკულ მდგომარეობაში ვართ, ამიტომ ჩვენი ვალია ამ აღწერილობის საკითხში მხურვალე მონაწილეობა მივიღოთ:

როგორც ზემოდ ვსთქვით, საქართველოში განზრახულ საჭირო ცნობების შეკრება-შეგროვება და მოხსენებების წარდგენა მიენდობა „გადასახლების პუნქტს“ ჩვენის აზრით, ამ საქმეს „გადასახლების პუნკტი“ სასურველად ვერ შეასრულებს, ვინაიდგან მას ამისთვის სპეციალისტი პირები არა ჰყავს და უმეტეს წილად დაემყარება „შემთხვევით, თავისნებით მომწოდებელთა ცნობებს“. რასაკვირველია, ასე „შემთხვევით და თავისნებით მოწოდებული ცნობებით“ შედგენილი საბუთები დიდ შეცდომაში შეიყვანს მიწადმოქმედების სამინისტროსაც და მას საშუალებას მოუსპობს რეალური წარმოდგენა ჰქონდეს ჩვენი ქვეყნის ჭირვარამზე.

ჩვენის ფიქრით, რადგანაც ამ აღწერილობის ამსრულებელ ორგანოთ გადასახლების ფუნქტი აღიარა ოფიციალმა მთავრობამ, ჩვენ მას ახლობელი თანამშრომლობა უნდა გავუწიოთ. პრესამ უნდა სტამბოს წერილები ამა თუ იმ მხრის მდგომარეობის შესახებ. სოფლის ინტელიგენციამ გაზეთებს ახლავე უნდა მოაწოდოს თავიანთი სოფლის შესახებ უტყუარი ცნობები.

ქართული სასოფლო სამეურნეო საზოგადოებები და აგრონომოები მოვალენი არიან ამ საკითხს ანგარიში გაუწიონ და თავის მხრივ ეცადონ სტატისტიკური ცნობების შეკრების საქმის მოგვარებისთვის. აგრეთვე სასურველია, რომ თუ ოფიციალი მთავრობა ამ საქმისთვის სპეციალურად დაქირავებულ პირებს დაგზავნის სოფლებში, ეს პირები ჩვენი სოფლის მდგომარეობის მცოდნენი იყვენ და არა „ჩინოვნიკურად‘‘ მოვალეობის ამსრულებელნი.

დიახ ყველას გვმართებს ამ საკითხში დიდი მონაწილეობა მივიღოთ, და თუ რუსეთის მიწადმოქმედების სამინისტრო დაბრალებულ ხალხისადმი შველას მოიღებს, იქ არც ჩვენი გაჭირვებული სოფლელები იქმნან გამოტოვებულნი. აღწერილობის-დრომდე ჩვენ ხელთ კიდევ ნახევარი თვეა და ამ ნახევარ თვეში რაც შეიძლება მეტი მომზადება ვიქონიოთ აღძრულ საჭირო საკითხში მონაწილეობის მისაღებად.

ი. იმერელი.

## ჯვარედინ გზაზე.

ყოველი ერის, ყოველ საზოგადოების, ყოველი ოჯახისთვის ძვირფასია ახალგაზდობა, ახალი, სიცოცხლით სავსე ძალა. ძვირფასია იმიტომ, რომ ბევრის დამპირებელია, ბევრს გვიქადის იგი, და, თავისი მხრით წამავალი, ცხოვრების ქარტეხილში გავლილი ხალხი დიდის იმედით შეჰყურებს მას.

ახალგაზდობაში ის გრძნობს იმ ძალას, რომელიც აკლია სწორედ მას.

აქედან, ადვილი გასაგებია ის ორთოლვა და გაფაციცება, რომლითაც ქართველი საზოგადოება თვალყურს ადევნებს ახალგაზდობასა და მასზე ფიქრობს.

ზრუნავს მასზე და სცდილობს გზა გაუკვლიოს მას ცხოვრებაში;

სწორი გზა უჩვენოს, რათა ახალგაზდობამაც მასსავით ცხოვრების გზების უთავბოლო ძებნაში არ დაალამოს დღენი არამედ ღრმად დაამჩნიოს მან თავისი კვალი მშობელი ერის წარმატებას.

დიაღ, ფართოა გზა მოღვაწეობისა რომელ სფეროშიც გინდა, იქ იმუშავე, ოღონდ შენი მუშაობა შეუფარდე საერთო მიზანს, შეუთანხმე მოძმეთა მუშაობას.

მართალია, გზა იგი არ არის გაყვანილი ევროპიულად, მტკიცედ, და ჩვენს მამა-პაპათ, საცოდავად დაუღარავთ იგი.

მაგრამ ნუ გაჰკილავთ ჩვენ მამებს;

ისინი დიდი მადლობის ღირსნი არიან;

რა ვუყოთ, რომ თავის გაკვერილ გზას თვითვე ღარავდენ პარტიულ, ჯგუფურ შუღლით.

მაშინ სხვა პირობები იყო.

ეხლა სხვა პირობებია.

მამათაგან გადმოვიღოთ მხოლოდ მათი კარგი მხარეები მოქმედებისა.

ცუდი კი უარვყოთ.

გავიგოთ, რანი ვიყავით გუშინ და მედგრად გავსწიოთ წინ მზის სამყაროსკენ, რათა გზა გავუნათოთ ჩვენს ძვირფას სამშობლო მხარეს.

აი, ჩვენი მიზანი, ჩვენი ცხოვრების აზრი.

ეს უნდა გვახსოვდეს მუდამ, ეს უნდა იყოს ჩვენი გზის გამკვლევი მარადის

ჩვენ უნდა ყოველთვის ვზრუნავდეთ ერის კეთილდღეობაზე, მის ეკონომიურად მოღონიერებაზე, მის კულტურულ წარმატებაზე, მის უფლებრივ აღორძინებაზე

და განა ამისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ ერთი მიმართულების, ერთი პარტიის მომხრემ გაჰკიცხოს და დაამციროს ისეთივე კეთილსინიდისიერი საზოგადო მუშაკი, მხოლოდ იმისთვის, რომ ის სხვა პარტიას ეკუთვნის?

ეს ხომ მოუკლავს მას მუშაობის ყოველივე ხალისს.

არა, საჭიროა მეტი დაკვირვება, მეტი შეგნება ერთმანეთის მოქმედებისა?

წინააღმდეგ შემთხვევაში განმეორდება ის, რაც ჩვენი მამების დროს ხდებოდა:

მრავალი ნიჭიერი საზოგადო მოღვაწე არამც თუ შეურაცხყოფილა და დამცირებულა, არამედ სამუდამოდ დაღუპულა ვიწრო პარტიულის, ჯგუფური ინტერესების წყალობით.

ვინა რჩებოდა ბოლოს გამარჯვებული?

რასაკვირველია, ჩვენი სამშობლოს მტერი.

თითოროლა საუკეთესო შვილებს ერისას ჩვენვე ვღუპავდით და მრავალი უგვანო, პირადი და ვიწრო ჯგუფური ინტერესების მქონენი კი განაგრძობდენ მუშაობას სამშობლოს დასაღუპავად.

კატონ კობახიძე.

## † ელენე ნიკოლოზის ასული ხლებნიკოვისა.

დღეს ქუთაისის ქალაქის სასაფლაოზე მიწას უნდა მიაბარონ ადამიანი, რომლის მსგავსიც იშვიათად იბადება საზოგადოებაში,—ელენე ხლებნიკოვისა, პეტროგრადის სამხედრო მედიკურ აკადემიის პროფესორის პეტრე ალექსის ძის ხლებნიკოვის ქვრივი.

სამწუხაროდ არ ვიცი, რომელ წელს დაიბადა ეს ადამიანი, მის დოკუმენტში, რომლის გაცნობა მე შემეძლო, ეს არც კი სჩანს, მაგრამ განსვენებულისგან მე გამიგონია, მას რუსეთის სახელგანთქმული პოეტი პუშკინი ახსოვდა. აქედან სჩანს, რომ მთელი მე-XIX საუკუნის ისტორიის საინტერესო მომენტებმა მის თვალწინ გაიარა; თვითონ ის, რითაც შეეძლო, დახმარებას უწევდა რუსეთის ინტელიგენციის მოძრაობას და ეს იქიდანაც სჩანს, რომ ჩამოვიდა თუ არა ქუთაისს მე 80 წლების მიწურულში, ის მაშინათვე გაიჩრიკეს.

განსვენებულს მეგობრული კავშირი ქონდა რუსეთის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებთან, ჩერნიშევსკის წრე მის სახლში იკრიბებოდა, ჩვენი საუკეთესო თანამემამულეც, ნიკოლოზ იაკობის ძე ნიკოლაძე ძალიან დაახლოვებული იყო მასთან, და როდესაც ის ერთი წლის დატუსაღების შემდეგ გაანთავისუფლებს, მან პირველად ყოვლისა ხლებნიკოვის ოჯახი ინახულა.

განსვენებული დიდი მეგობარი იყო სხვათა შორის, პროფესორ სეჩენოვის, მან იმას თავისი განთქმული წიგნი „рефлексы головнаго мозга“ ფრანგულ ენაზე გადაუთარგმნა პარიზის აკადემიისათვის წარსადგენად. ამ რამოდენიმე წლის წინათ გაზეთ „Русскія Вѣдомости“-ს რედაქცია სთხოვდა სეჩენოვის ყველა ნაცნობ--მეგობრებს მიეწოდებიათ მასალები სეჩენოვის შესახებ; განსვენებულმა მაშინათვე გადასწყვიტა დაეწერა მოგონებანი სეჩენოვზე ამის გამო მე მითხრა, ბევრი მაქვს სათქმელი, რომელიც ჯერ საზოგადოებამ არ იცისო, ჩემი მოგონება მეჩნიკოვის წერილის დამატება იქნებაო. მაგრამ ავადმყოფობამ და სიკვდილმა შეძლება არ მისცა, ეს განზრახვა სისრულეში მოეყვანა.

განსვენებული ათავსებდა წერილებს, განსაკუთრებით ფრანგულიდან ნათარგმნებს რუსეთის სხვადასხვა ჟურნალში, ბევრი აქვს მოთავსებული საბავშო ლიტერატურიდან ჟურნალ “Дѣтское Чтеніе“-ში.

უკანასკნელ ხანებში მან დასწერა მოგონება ჩერნიშევსკის სამოქალაქო სიკვდილით დასჯის შესახებ და აგრეთვე იმ სამგლოვიარო ლიტერატურულ და მუსიკალურ საღამოზე რომელიც, რუსეთის ინტელიგენციის სასიქადულო წარმომადგენლებმა გამართეს პოეტი მიხაილოვის სასარგებლოდ, რომელსაც კატორღაში გზავნიდენ. ეს მემუარეები დაიბეჭდა შარშან ჟურნალ „განთიადის“ პირველ ნომერში.

განსვენებული უკანასკნელ ხანებამდის განაგრძობდა მუშაობას. მან გადათარგმნა ფრანგულ ჟურნალიდან შიურეს წერილი მიქელ ანჯელო და ვიტორიაკოლონას შესახებ, წერილი დიდროზე და ბევრი სხვა, რომელიც ამ სტრიქონების დამწერთან ინახება.

განსვენებული ძალიან გატაცებული იყო სახელმწიფო სათათბიროს ოპოზიციის მოღვაწეობით; ამ ერთი თვის წინათ, როდესაც მე ის ვინახულე, მიუხედავათ იმისა, რომ ძლიერ ავად იყო, და ძლივსღა ახერხებდა ლაპარაკს, მან პირველად ყოვლისა მკითხა „ჩხეიძე როგორ არისო? განსვენებულის ხელში ბევრი ჩვენი თანამემამულე აღიზარდა, ყველას მათგან უნერგავდა კეთილშობილურ პრინციპებს, ყველასათვის ვინც მასთან დაახლოვებული იყო, ის წარმოადგენდა ცოცხალ წიგნს, დაუშრეტელ წყაროს ცოდნისას. მან ბევრი, ძლიერ ბევრი ჩაიტანა საფლავში, რაც, საზოგადოების წინაშე გამომზეურებული, საგოგმანებელ მარგალიტად შეიქნებოდა. სიკვდილის წინ ამბობდა, სასიამოვნოა, რომ ისე ვესალმები წუთისოფელს, რომ ჩემთვის ძვირფასი ადამიანები თავზე მადგანანო სწორედ მათთვის საძნელოა მისი დაკარგვა, მაგრამ ისინი თავის გულის საუკეთესო ნაწილში შეინახვენ ძვირფასს ხსოვნას მათი კეთილშობილური მასწავლებლისას.

გლ. ემუხვარი.

## ჩეხელ კრამარჟის ბედი.

როგორც ვენიდან იტყობინებიან, რეიჰსრატის დეპუტატების კრამარჟის, როზენხინის და „სახალხო ფურცელთა“ რედაქტორის ჩერვინკის საქმე დამთავრდა. მათ ბრალდებოდათ ავსტრიის სახელმწიფოსადმი ღალატი. ყველას სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს. მეტი არ იქნება გავიხსენოთ, რომ ჩეხელები საერთოდ ძლიერ ლტოლვას იჩენდენ მოკავშირეთა მიმართ. ომის დაწყებისას მოსკოვში, შესდგა ჩეხელთა ორგანიზაციების წარმომადგენელთა ყრილობა, რომელზედაც გადაწყდა თავის სამშობლოს ბედი გადაეცათ მოკავშირეთათვის და, რითაც შესძლებდენ დახმარებოდენ მოკავშირეთ, რათა მომავალში უკანასკნელებს მათთვის მიენიჭებიათ სრული ეროვნული თავისუფლება. რუსის ჯარში მოხალისეებათ ჩაეწერა მრავალი ჩეხელი. ავსტრიის ჯარში მყოფი ჩეხელი ჯარისკაცნი ათასობით უვარდებოდენ ტყვეთ რუსებს ხელში, დიდის დავლითა და იარაღით. მთელ ჩეხელთა ორგანიზაციებს დირექტივებს აძლევდა ერთგვარი ნაციონალური კომიტეტი, რომლის წევრებათაც იყვნენ ზემოდ აღნიშნული დეპუტატები კრამარჟი, როზენხინი და რედაქტორი ჩერვინკი. ჩეხელთა ასეთ გაბედულსა და მედგარ გამოსვლას ედვა დიდი საფუძველი, რომელიც მომზადებული იყო ომის დაწყებამდი. დიდიხანი არ არის მას შემდეგ, რაც ჩეხელებს თავის სამშობლოში საკუთარ ენაზე ლაპარაკის ნებაც არ ჰქონდათ, მაგრამ დაუღალავი და ბეჯითი შრომით დიდ შედეგებს მიაღწიეს.

ორმოციოდე წლის განმავლობაში იმდენად გაღონიერდა ეს ერი, რომ საგრძნობ ოპოზიციონურ ძალას წარმოადგენდა სახელმწიფოში. მიიღეს კულტურული ავტონომია და ეროვნული უნივერსიტეტი მიუხედავად იმისა, რომ ყოველთ მხრით მათ ავიწროებდენ გერმანელები და მადიარები, ორი უძლიერესი ეროვნება ავსტრიის იმპერიისა, ეკონომიურად გაუთანასწორდა მათ. დიდი სამსახური გაუწიეს ჩეხელებს მათმა ნახევრათ ფიზიკურად სავარჯიშო და ნახევრად პოლიტიკურმა ლეგალურმა ორგანიზაციებმა, როგორიც იყვნენ „შევარდენის“ საზოგადოებანი. უკანასკნელნი გაფანტული იყვნენ მთელ ჩეხეთში, სოფლებშიც კი და ფიზიკურ სისაღესთან ერთად ეს ორგანიზაციები უნერგავდენ და უნვითარებდნენ ხალხს ნაციონალურ გრძნობას. ამნაირად ჩეხელი არათუ მამაკაცები, დედაკაცებიც კი, ერთგვარ ძლიერ სამხედრო ძალას წარმოადგენდენ, ავსტრიის ჯარის სუსტი მხარე იყო მუდამ ჩეხელი ჯარის კაცთა ეს სულიერი განწყობილება, და, მართალიც, გამოდგა შიში: დაიწყო თუ არა ომი, ჩეხელთა შორის ფართოდ მოიკიდა ფეხი მოკავშირეთადმი თანაგრძნობა-მისწრაფებამ.

ბანი.

## კიდევ ავაზაკების შესახებ ჩვენში.

გაზ. „სამშობლოს“ 13 მაისის ნომერში ჩემგან გამოთქმული სურვილი, რომ ზემოთ დასახელებული ბოროტების შესახებ ქართულ პრესაში აღძრულიყო ლაპარაკი და გამონახულიყო რამე საშუალება მის მოსასპობათ, დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. გაზეთებს კი მოაქვთ და მოაქვთ ცოცხალი ამბები ძარცვა-გლეჯისა, ადამიანთა ხოცვა-მოტაცებისა და ოჯახთა აკლება-აწიოკების შესახებ. მაგრამ ის კი არ იფიქროთ გაზეთის ფურცლებზე ყველა ბოროტება აღინიშნებოდეს. მაშინ ხომ გაზეთს სხვა საყურადღებო საკითხებისათვის ალაგი აღარ ექნებოდა. ან კი ვინ იწუხებს თავს ამ საგანზე წერისათვის? საზოგადოების მდაბიო ნაწილს ამ საგნის შესახებ არც წერა შეუძლია და ისეც სავსებით ამართლებს ხალხურ ანდაზას: ძნა იწვოდა და ული იცინოდაო. პოლიცია უმეტესს შემთხვევაში იმდენ ფხიანობას იჩენს ავაზაკობასთან ბრძოლაში, რამდენათაც ეს მისი მდგომარეობის შეურყევლობისათვის არის საჭირო.

ამიტომ ბოროტმოქმედნი იშვიათად უვარდებიან ხელში მართლმსაჯულებას, თუმცა დაჭერილი ვექილებისა და ცრუ მოწმეების წყალობით იქიდანაც ხშირად გამართლებული გამოდიან. ამნაირათ, დღეს ავაზაკების გავრცელებას ყველაფერი ხელს უწყობს.

თუ საზოგადოების სულიერი სიმშვიდე და ნივთიერი გაღონიერება საჭირო და სასარგებლოა, თუ პატრონების და ადამიანობის სახელის მოხვეჭა საზრუნავია, როგორც კერძო პირისა, ისე მთელი ერისათვის, იმ შემთხვევაში, ვიმეორებ, ჩვენმა პრესამ ხმა უნდა აღიმაღლოს ქურდობა-ავაზაკობის შესახებ. ნურავინ ნუ გაამართლებს ამ ბოროტებას ზოგიერთი პირების ნივთიერი გაჭირვებით. ჩვენი ხალხის უმეტესობა ნივთიერათ გაჭირვებას განიცდის, მაგრამ ამ საბუთით განა ყველა ქურდ-ავაზაკებათ უნდა გავხდეთ?! არა, ყველამ ვიშრომოთ, კეთილ-შეძენილი ყველაფერი გონივრულათ, დაზოგვით მოვიხმაროთ და მაშინ სხვისი ძარცვა-გლეჯაც აღარ დაგვჭირდება. ამიტომ ვისაც თავისი სამშობლო გულით უყვარს და მის მკვიდრთა კეთილდღეობა ახარებს, ყოველნაირათ უნდა ეცადოს ამ ბოროტების მოსპობას და მის ნაცვლად საზოგადოებაში პატიოსანი შრომისა და მომჭირნეობის იდეის განმტკიცებას. არ კმარა ეს საქმე მარტო პოლიციას მოვახვიოთ თავზე. ხალხის რისხვას, მის შეერთებულ ძალას, ვერავითარი ავაზაკობა ვერ გაუმკლავდება.

შორაპნის მაზრის უფროსად ნამყოფს ავაზაკთა უკიდურესი თავგასულობით შეწუხებული ხალხი რომ არ დახმარებოდა, ზესტაფონის მიდამოები დღესაც ისევ ავაზაკთა ბუნაგი იქნებოდა. ამ საქმეში მისი მარჯვენა ხელი იყო ხარაგოულის ბოქაული ბ-ნი ესაძეც.

ავაზაკთაგან აკლებული ხალხის გაჭირვებით აღშფოთებულმა ესაძემ ბევრჯერ თავისი სიცოცხლე განსაცდელში ჩააგდო, მაგრამ საბოქაულო კი გაწმინდა ავკაცობისაგან, რისთვისაც მას ხალხი ყოველთვის პატივისცემით მოიგონებს.

კარგა ხნის სიმშვიდის შემდეგ ბოლო დროს ხარაგოულის საბოქაულოშიაც ხელახლა იჩინა თავი ავკაცობამ. წასული მაისის თვრამეტს სოფელ ვაშლევში ღამით რამდენიმე შეიარაღებული პირი თავს დაესხა გლეხს საჩინო წიქარიშვილს, რომელსაც მოსთხოვა გაჭირვებისა გამო გაყიდულ სახლში აღებული 200 მანეთი. გლეხს ეს ფულები უკვე დაეხარჯა და დაპატიჟებულ სტუმრებს ხუთი მანეთის მეტი ვერ უშოვა. ამით განრისხებულმა ავაზაკებმა წიქარიშვილი 13-გან დასჭრეს, ხოლო მისი ცოლი ცხრაგან. მამასახლისის მოხსენებისათანავე ბ-ნი ესაძე ჩაფრებით მიიჭრა. საწყალი გლეხისას და შემდეგ სასტიკი გამოძიებისა ცოცხალ კვალზე ბოროტების ჩადენის ადგილიდან ორმოცი ვერსის სიშორეზე შეიპყრო ორი ავაზაკი. მანვე შეიპყრო აწიოკებული გლეხის მეზობლის ცოლი, რომელსაც ავაზაკებისათვის ბინა მიეცა და მერე თავის მეზობელზე მიესია.

ამისთანა ამბები ძლიერ ხშირად ხდება ჩვენი სამშობლოს მიწაწყალზე და ჩვენც

ხელის მომწერ. საყურადღებოდ

კანტორა სთხოვს, ხელის მომწერლებს, დააჩქარონ ხვედრი ფულის შემოტანა

ყური მივაჩვიეთ მას. ამიტომ მე, თუ არ ვსცდები და ქვეყნის ხსნა ერთმანეთის სისხლის დათხევასა და აკლება-აწიოკებაში არ არის, მივმართავ ისევ ქვეყნის გულშემატკივრებს, ჩვენი ქართული პრესის წარმომადგენლებს. ბატონებო' დაანებეთ თავი ცოტა ხნით მაინც პარტიულ ნიადაგზე განგაშსა და ერთიმეორის ლანძღვაგინებას; გამოთქვით თქვენი აზრი მის შესახებ, თუ რანაირი საშუალებით შეიძლება ხალხში ძარცვა-გლეჯის მოსპობა.

მერწმუნეთ, ბატონებო, ეს საყურადღებო საკითხია და ამ შემთხვევაში დახმარებით დიდ სამსახურს გაუწევთ საზოგადოებას.

ს. ივანეშვილი.

# რუსეთი.

პეტროგრადსა და მოსკოვში საქარტო სისტემა უნდა შემოეღოთ ხორცისა დ შაქრის გაყიდვაში. ამისათვის მოწვეული იყო განსაკუთრებული კრება მცოდნე პირთა. კრებაზე გამოირკვა, რომ ქარტების შემოღება მცხოვრებლებს ვერ დაიხსნის გასაჭირიდან, ვინაიდან ხორცი და შაქარი ბაზარზე ისევე ცოტაა, როგორც წინად იყო, და დასარიგებელი ამ კარტებით არა იქნება რაო. („რეჩი").

— —

გამოირკვა, რომ თუ ხორცის გაყიდვაში საქარტო წესი შემოიღეს, თითო მცხოვრებს კვირაში ერგება მხოლოდ 56 მისხ. — ეს ძალიან ცოტაა; გერმანიაში მაგალითად, თითო მცხოვრებზე მოდის კვირაში 10 მისხ („რეჩი").

— —

ომსკში ბაპტისტების დევნა კვლავ განახლებულა, ცნობილ გენერალგუბერნატორის კოშურო—მასალსკის ჩამოსვლის შემდეგ.

— —

მოსკოვის მიტროპოლიტს მაკარის ლოცვა-კურთხევით დაურთვია ნება, რათა მოსკოვის ღვთიშობლის მიძინების ეკლესიაში დასვენებული ვლადიმირის ღვთიშობლის ხატი ბრძოლის ასპარეზზე წაასვენონ.

— —

რამდენიმე დღეა, რაც გაზეთი „ბაქო" არ გამოდის.

— —

კისლოვოდსკში დაუტუსაღებიათ კიევში ბულგარეთის კონსულათ ნამყოფი ფურმონი.

— —

ოთხი თვის განმავლობაში ქვემო ნოვგოროდიდან წყლით ფინლანდიაში გაუზიდნიათ ხუთ მილიონამდე ფუთი სურსათი.

— —

როგორც ირკვევა, სახელმწიფო სათათბიროს და საბჭოს სხდომები თიბათვის ნახევრამდი გასტანს.

— —

მეურნეობის დარგში სპეციალისტებს, რომელნიც ამ ჟამად ჯარში არიან, სამი თვით გაანთავისუფლებენ, რათა მოსავალი მოაგროვონ.

— —

## უცხოეთი.

რუმინიაში მოხდა „პარტიული ბანკეტი". ბანკეტზე გადასწყვიტეს კონსერვატორთა და დემოკრატ-კონსერვატორების პარტიების ერთად შეერთება. ამ მოვლენას რუმინიაში დიდი სიხარულით მიეგებენ.

— —

ნორვეგიის სოციალდემოკრატები რუსეთთან მეგობრობის მომხრენი არიან.

— —

შვეციის რეიჰსტაგმა დაადგინა 5 მილიონი კრონი გადასდვას სამეფოში ღარიბ დ ხელმოკლე მცხოვრებთა დასახმარებლად.

— —

პარიზში ამ მოკლე ხანში უნდა მოხდეს „ეკონომიური კონფერენცია შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენლებისა. რუსეთის წარმომადგენლები პარიზში უკვე ჩასულან ვაჭრობის საქმეთა გამგე პრილაჟაევი, ჰეიმანი, ფაასა, ნიკოლსკი დ უსპენსკი.

— —

რომში რუსეთის პარლამენტარიებს „რაუტი" გაუმართეს. სენატში ყოფნის დროს რუსეთის პარლამენტარიებმა გარიბალდის სტატუია ცოცხალ ყვავილებით შეამკეს.

— —

გერმანიის იმპერიის კანცლერის შინაური პოლიტიკა ამ ბოლო დროს აღარც კონსერვატორებს მოსწონთ, მათ მის საწინააღმდეგოთ განსაკუთრებული „პამფლეტიც" კი შეუდგენიათ.

— —

ნორვეგიაში მუშების საერთო გაფიცვა მოხდა. გაფიცვაში მონაწილეობა მიიღო 100,000 კაცმა. გაფიცვა ეკონომიური მოთხოვნილებით არის გამოწვეული

# ხაზეინის ოინები.

ქ. ქუთაისში ჩამოსულა ვილაც მექარხნე სომეხი, რომელსაც დაუქირავებია ქარ. გიმნაზიის უკან ფრთა და აბრეშუმის ქარხანა მოუწყვია. მას განზრახვა აქვს აბრეშუმის თესლი შეინახოს. აქ მსახურობს სამი უფროსი ქალი, რომელნიც ქაღალდის პარკებს ამზადებენ, და 80 დე მუშა ახალგაზდა ქალი. ერთ დღეს შევიარე ამ ქარხანაში, ვნახე ერთი უფროსი მუშა ქალი, რომელსაც გამოვკითხე, თუ რა პირობებში მუშაობენ ისინი აქ. მან მიპასუხა:

„ჩვენ სამს გვეძლევა თითო მანეთი, მომუშავე გოგოებს კი 30 ან 40 კ. ჩვენ კიდევ არა გვიშავს რა, მაგრამ საბრალონი ისინი არიან, რასაც იღებენ აქვე სჭამენ და რჩებიან ცარიელნიო. თანაც სასტიკათ ამუშავებენ და ერთი საათის თავისუფლებას ყოველდღე პარვენო, მითხრა ქალმა და საათი ამოიღო—აჰა, განაგრძო მან, თორმეტზე დასასვენებლად უნდა გაუშვან. აგერ პირველიც სრულდება და კიდევ არ ფიქრობენ მუშების გაშვებასო. ვინ არის კაცი მოგვხედოს და ბოლო მოუღოს ჩვენი ხაზეინის თვითნებობასო, დაასრულა ქალმა.

აი, ბატონებო, ვაჟბატონ-მექარხნის აღვირწახსნილობა: 30 კ. მუშაობა და იგიც ამ ზღაპრულ სიძვირის დროს? როცა ოყა პური 25—30 კ. ღირს.

მაკვირს ღმერთმანი, სად არიან ისინი რომელნიც თავს „მუშათა ინტერესების დამცველს" უწოდებენ და რომელნიც დღე დაღამ გაიძახიან: „ჩვენ მუშების მფარველები ვართო". ჩემის ფიქრით, აქ უნდა იყვენ ისინი საჭირონი, სადაც შეუგნებელი მუშათა ბრბო უბრალო მანქანას წარმოადგენს ხაზეინების ხელში. და არა იქ, სადაც მუშები ცოტა თუ ბევრათ გათვითცნობიერებულნი არიან და უმათოთაც შეუძლიათ წინაღუდგენ ხაზეინების ალვირ ახსნილობას არა, ბატონებო, „ბალ-ვეჩერებზე" ვერც ნახავთ და ვერც გაიგონებთ საბრალო მუშის გმინვას. საჭიროა, მიბრძანდეთ იქ, სადაც თავი მოუყრია მუშა ხალხს, სადაც მათი შრომა მათთვის ნახევრობით იკარგება და სადაც ხაზეინების მუშა-ჭამიობას საზღვარი არ უჩანს.

აი, სწორეთ აქ უნდა მუშაობდეთ თუ გინდათ, რომ თქვენი სიტყვები სიტყვებათ არ დარჩეს და საქმეთ აქციოთ.

ე. ჰატარიძე.

# პროვინციის ცხოვრება.

**სოფ. მეჯვრისხევი**. სოფ. მეჯვრისხევს კარგი მდებარეობა აქვს. მიდამოებიც მშვენიერი აქვს, მაგრამ რამდენად ბუნება უხვი გამომდგარა ამ სოფლისთვის, იმდენად თვით აქ მცხოვრებელი ინტელიგენცია ძუნწია საზოგადო საქმეში. სასარგებლო გასართობები მთელი ზაფხულის განმავლობაში ორჯერ თუ გაიმართება. სახალხო კითხვებისა და პოპულიარულ ლექციების მოწყობისათვის ნაკლებათ იწუხებს თავს აქაური მრავალრიცხოვანი ინტელიგენცია. იგი თავის მოვალეობად არ სთვლის გლეხთა განვითარებასა და სამეურნეო თუ სხვა ცოდნის მიწოდებას პირიქით, აქაური ინტელიგენცია ისეთი საქციელების ჩამდენია, რომ გოტენტოტებს და კაციჭამია პაპუასებს თუ ეპატიებათ.

აქ ხშირია მოვლენა, როცა შეზარხოშებული რომელიმე აზნაური აუტეხს ჩხუბს ვისმე და სცემს, შემდეგ ის მოინდომებს მაგიერის გადახდას, შეკრებს ძმაბიჭებს, დაუხვდება სადმე ბნელ ღელეში და ვინ იცის სიცოცხლესაც გამოასალმოს. შარშან კინაღამ მოჰკლეს ერთი პატიოსანი, უდანაშაულო ახალგაზდა მოსწავლე.

დროა, აქაური ინტელიგენცია არ იყოს მარტო სახელის მატარებელი იმ პატიოსანი წრისა, რომელსაც შეადგენენ შეგნებული პატიოსანი მუშაკნი, სულითა და გულით სპეტაკნი. თორემ რასა ჰგავს: ერთადერთი სამკითხველო მუდამ ცარიელია და, რომ იტყვიან: „ცეცხლი რომ ეკიდოს და ქუდი შეუგდო, გამოსატანად არავინ შევაო" სწორედ ზედ გამოჭრილია აქაურ ინტელიგენციაზე ამ ცოტა ხანში აქ გაიხსნა გორელ ქალთა საზოგადოების „მანდილოსნის" განყოფილება ძლივს ნავსი გატყდა!

ვუსურვებთ სრულ წარმატებას. ისევ ქალები თუ ითავებენ სახალხო საქმის გაკეთებას თორემ ადგილობრივ ინტელიგენტ პირებს ჯერ კიდევ სადათას ძილით სძინავთ.

სტუდენტი შაქრო

# კოოპერაციის გარშემო.

(წერილი რედაქციის მიმართ).

კოოპერაციისა და საზოგადოთ მდაბიო ხალხისათვის თავდადებული და მათი კეთილდღეობის მსურველი რომ ქება დიდების ღირსია, ამისი უარის ყოფა არავის არ ძალუძს, პირიქით, ყველა შეგნებული ადამიანი ვალდებულია ხელი შეუწყოს და დახმარება გაუწიოს, რითაც კი შესაძლებელი იქნება, ხოლო, სამწუხაროთ, ზოგიერთს ღვთიური მცნება, უკუღმა ესმის და უკუღმავე ხმარობს, და თუ ერთის მხრით კეთილ საქმეს ემსახურება მეორეს მხრივ ათასგვარ ბოროტებას სჩადის, რადგან იგი დარწმუნებულია, რომ, რაკი კოოპერაციის საკეთილდღეოთ რაიმეს იტყვის, ამით მას ნება ეძლევა ყველაფერი ჩაიდინოს, თუნდ მომაკვდინებელი ცოდვაც იყოს, და წარბშეუხრელათ და ანგარიშმიუცემლათ ამბობს და სწერს, რაც ენაზე მოადგება, სინამდვილეს არ დაგიდევს და ამგვარათ შეურაცხყოფას აყენებს ისეთ პიროვნებას, რომელიც სრულებითაც ღირსი არ არის შეურაცხყოფისა, შეცდომაში შეყავს თვით პრესა და მკითხველი საზოგადოება.

გაზეთ „თან. აზრის" 92-ე №-ში იყო მოთავსებული ჰრებალოს კოოპერაციის შესახებ წერილი „მეთვალყურისა", რომელ წერილშიც ავტორი სინამდვილის გამომჟღავნებას გაურბის, ცალმხრივობას იჩენს.

ბ. მეთვალყურე, სხვათაშორის, სწერს: „წინათ დაარსებული კოოპერატიული დუქანი გამგეობამ მიითვისა, ხოლო გამგემ სოხაძემ გამგე კ. გელოვანი და ე. ყიფიანი მოიცილა და ამხანაგათ შეიყვანა ებრაელი ვაჭარი ი. მოძღვრიშვილი და ამათ საქმე ისე მოაწყვეს, რომ ხალხს უზომოთ ყვლეფავდენ, წევრებმა მთავრობას მიმართეს, რომ წართმეული დუქნის ლიკვიდაცია მოეხდინა, ხოლო კრებამ იქონია მსჯელობა და დაადგინა მიენდოს სოხაძეს და მოძღვრიშვილს ამხანაგობის სახელით ივაჭრონ და აგრეთვე გადასცეს საპაიო საწევრო 2000 მან. და ამისთვის უნდა ეძლიათ სოხაძეს და მოძღვრიშვილს ამხანაგობისთვის ყოველ წლივ 100 მან. ხოლო როცა მოისურვებდა ამხანაგობა და დუქანს თავიანთთვის გახსნიდა, მაშინ მოხსენებული საწევრო და საპაიო ფული ან საქონელი 2000 მანეთისა უნდა გადაეცათ ამხანაგობისათვის, ხოლო როდესაც საზოგადოებამ ისურვა ხელახლათ დუქნის გახსნა და მოსთხოვა სოხაძეს და მოძღვრიშვილს მათ უარი განაცხადესო".

დაკვირვებული მკითხველი თვით ავტორისსავე ნათქვამიდან დარწმუნდება, რომ იგი სიყალბესა და ცალმხრივობაზეა აგებული.

როგორ მოხდა, რომ უზომოთ მყვლეფავებს სოხაძესა და მოძღვრიშვილს წართმეული დუქანი და ფირმა ჩააბარეს, ნუთუ შეიძლება კაცმა რაიმე მომტაცოს წამართვას და მასვე მივაბარო? ან კიდევ კაცი მყვლეფავდეს, მძარცვავდეს და ამისთვის საჭირო იარაღი მევე ვუშოვნო და ხელში მივაწოდო და სხვა?.. მაგრამ ბ. მეთვალყურე ძალიან შორს გაურბის სინამდვილეს, და სიცრუე სიმართლის მსგავსათ სურს გაასაღოს.

საქმის გარემოება ასეთი იყო:

1913 წ. გაიხსნა საამხანაგო დუქანი „სინათლე", რომელსაც ყავდა ოცდაათამდე წევრი და პაი იყო 11 მანეთი, ამგვარათ 30 წევრისგან შეგროვდა 330 მ. ამ საკუთარ თანხას მიემატა კირაკოზოვებისაგან ავალებული საქონელი 2000 მ., რომლის პასუხისმგებელიც იყვნენ კერძო პირები და არა თვით საზოგადოება.

ამგვარათ, საამხანაგო დუქანს ჰქონდა თავისი და ნავალები 2330 მანეთი. დაიწყო ვაჭრობა და გასტანა ერთ წელიწადს. უკანასკნელი ანგარიშის დროს აღმოჩნდა, რომ საამხანაგო დუქანმა ნაცვლათ მოგებისა, იზარალა და, გარდა თავის საპაიო 330 მანეთისა, ვალსაც აკლდა 480 მ., და მთელი ჯამის 2330 მან. ნაცვლად საქონელი იყო მხოლოდ 1500 მან. ამ გარემოებამ ამხანაგობა ძალიან დააფიქრა. ბევრი იფიქრებს საქმის გამოსაბრუნებლად, მაგრამ ვერაფერი ვერ გამოიგონეს ისეთი, რომ საქმე წამოეყენებიოს, და დაღონებულნი თავიანთ სახლისაკენ გაბრუნდენ. ამ დროს იქ მყ.-ფი გამგეობა და კერძო პირები შეეკითხენ საზოგადოებას, რა ვუყოთ იმ ვალს, რომლის პასუხისმგებელნიც მხოლოდ ჩვენ ვართ კირაკოზოვის ფირმის წინაშეო?

— როგორც აიღეთ, ისე გაისტუმრეთ; ჩვენ, თანახმათ ჩვენის წესდებისა, მხოლოდ ჩვენი საწევრო ფულით ვიყავით პასუხისმგებელნიო, იყო პასუხი საზოგადოების მხრით.

ამგვარათ, გამგეობა და კერძო პირები ჩავარდენ საგონებელში. ესენი მორიგეობით სდარაჯობდენ დარჩენილ საქონელს. ასეთ მდგომარეობაში ყოფნა შეუძლებელი იყო; კირაკოზოვი თავისას ითხოვდა, (თანახმათ დათქმული პირობისა, ყოველ თვეს უნდა გაესაღებია ამხანაგობას კირაკოზოვებისთვის არა ნაკლები 400 მან. საქონ.) ბევრი ბჭობა-ყოყმანის შემდეგ სოხაძემ მიიღო დარჩენილი საქონელი თავის თავზე დ პასუხისმგებლობაც კირაკოზოვის წინაშე თვითონ იკისრა.

მე ი: მცოდნე.

(დასასრ. იქნება)

## ბიბლიოგრაფიული შენიშვნა

რედაქციამ მიიღო იასონ კერესელიძის მიერ გამოცემული წიგნაკები: „სოფრონ მგალობლიშვილის მოთხრობანი" და ვაჟა ფშავე და „გოგოთურ და აფშინა".

წიგნაკი უხეიროდ არის გამოცემული; შიგ ბევრი კორექტურული შეცდომაა, თავები არეულია.

ჩვენ წინათაც მივიღეთ ბ. იასონ კერესელიძის მიერ გამოცემული წიგნაკები, სადაც ასეთივე შეცდომები იყო. გვეგონა, გამომცემელი ყურადღებას მიაქცევდა ამ გარემოებას და შეეცდებოდა ნაკლის გასწორებას, მაგრამ როგორც ახლად გამოცემულ წიგნაკებიდან სჩანს, ამ ნაკლს მისი გამოცემები ვერ აშორებია.

კარგი იქნება ბ. კერესელიძემ ახლა მაინც მიაქციოს წიგნაკების გამოცემას ჯეროვანი ყურადღება.

X.

## შემოწირულობა.

„სინათლის" საზოგადოების ქალთა სასწავლებლის საშუალებათა გასაძლიერებლად სოფ. ამაღლებაში მასწავლებელმა ქ. ბარბარე მჭედლიძის ასულმა შეაგროვა შემდეგი შემოწირულობანი: თითო მან. ქნ. ნინო [illegible] ასულისაგან, ქნ. ელენე [illegible]ისაგან, [illegible] ერისთავისასგან, [illegible] კო ამაღლობელისაგან, მარიამ მინდელისაგან, დავით რიჟავაძის ასულისაგან, ელენე მინდელის ასულისაგან, მეტია ლომინაძის ასულისაგან, მაშა საკანდელიძისგან და ევდაკია და ნინო აბრამიძის ასულისაგან. ათ-ათი შაური: ინუცა და საშიკო მინდელებისაგან, ნინო საკანდელიძისაგან, სონია ჩხეიძისაგან, მატრონავ ტყეშელაშვილის ასულისაგან, ნიკოლოზ ხურტიძესაგან, სილოვან მილორავასაგან, კოწია სანიკიძისაგან, ალექს. ხონელიძისაგან და სარდიონ ძიგრაშვილისაგან. თითო აბაზი: მიხაკო ტყეშელაშვილისაგან და გიორგი ტყეშელაშვილისაგან. სულ 15 მ. 90 კ.

„სინათლის" საზოგადოების დამხმარე ქალთა კომიტეტი, რომლის სახელზეც გამოიგზავნა ეს ფული, მადლობას უძღვნის შემომწირველთ და ქ. ბ. მჭედლიძის ასულს.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. „**სამშობლო**"



## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 8 ს. 5 წ |
| „ | — საღამ. | — 8 ს. 55 „ |
| ბათომიდან | — დღისით | — 12 ს. 45 „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 25 „ |
| ფოთიდან | — დილის | — 10 ს. 31 „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს | — 6 ს. 55 „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | — 11 ს. 5 „ |
| „ | — ღამის | — 12 ს. 30 „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 10 „ |
| „ | — დილის | — 6 ს. — „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. 13 „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 5 ს. 25 „ |
| შორაპნისაკენ | — დღით | — 6 ს. 25 „ |

**მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ყორყოლაძეების სამკურნალო**

# აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისვნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში". ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. ს. დგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის". ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

## საღი კუჭი

# ჟელაგარი ექ. ვეზისა.

ახალი მეცნიერულათ შემზადებული პრეპარატი კუჭის ქრონიკულ უაზბობის, მოშლის, ნაწლევების, კატარის და საჭმლის გადამხარ შველ ნაწილების სისუსტის წინააღმდეგ.

ქრონიკული უაზბობა წყაროა მთელი წყება კუჭ-ნაწლევების მოშლისა, პირის დებინებისა, სიმწვავისა, მუცლის ბერვისა, კუჭის ტკივილებისა, ნაწლევების კატარისა, გემოროისა, იწვევს სისხლის მოწამლვას, თავის ტკივილებს, მადის დაკარგვას, ცუდ გუნებას და საერთოდ მთელი ორგანიზმის მოშლა—დასუსტებას. უაზბობის წინააღმდეგ ჩვეულებრივ ხმარობენ სათვალდარათო წამლებს, რომელიც არა თუ სპობს უაზბობას, პირიქით უფრო აძლიერებს მას.

პრეპარატი **ჟელაგარი** ექ. ვეზისა აქარწყლებს კალაგვის მასსას, ასაღებს ნაწლევებს, აშორებს უდებობას და აჩვევს მას ნორმალურ მუშაობას და რადიკალურათ სპობს ჭვალს, ნაწლევების კატარს, მიგრენს და სხვა სისუსტეს, რომელიც გამოწვეულია უაზბობისაგან. **ჟელაგარი** სრულებით უვნებელი საშუალებაა სხეულისთვის და სრულებით ადვილი გადასატანია თვით ჯიუტ ავათმყოფობისაგანაც კი. პრეპარატ **ჟელაგარს** ხმარობენ გამოჩენილი პროფესორები კუჭის ავათმყოფობის დროს და მოწონებულია როგორც უტყუარი და სარწმუნო საშუალება კუჭის ყოველგვარ ავათმყოფობისა და მისი შედეგებისათვის.

დაწვრილებით ბროშურა კუჭის ავათმყოფობის შესახებ პირველ მოთხოვნილებისთანავე იგზავნება უფასოთ.

ნამდვილი **ჟელაგარი** ექ. ვეზისა მზადდება საფრანგეთსა და რუსეთში. იყიდება „პრაქტიკულ მედიცინის ლაბორატორიის განყოფილებაში" და ქუთაისში **ა. პ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩაზე, ქალაქის თეატრის პირდაპირ.

ჟელაგარის ერთი კოლოფი ღირს 3 მ., მოსარჩენათ საჭიროა 3—5 კოლოფი.

9 (წლიური)